http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

ჩემპიონატი

"დინამო" (თბილისი) - "ბურევესტნიკი" (მოსკოვი) - 2:0 (0:0)
30 ივლისი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 30 000 მაყურებელი.
მსაჯი ა. ლევინი (ხარკოვი).
გოლები: 1-0 პაიჭაძე (53), 2-0 ბერეჟნოი (89).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფრო-ლოვი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი (ლოლაძე), პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ბურევესტნიკი": პობედუშკინი (მიშინი), მელნიკოვი, ბარანოვი, ნ. გორბუნოვი, მ. გორბუნოვი, კაპიტონოვი, ჟარკოვი, ვ. ზაიცევი, შლიუნოვი, სოკოლოვი (სტრიგანოვი), ანისიმოვი.

ორი ახალი ქულა

30 ივლისს ლ. პ. ბერიას სახ. სტადიონი ადრევე აივსო მაყურებლებით. ამ დღეს თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ თამაშობდნენ მოსკოვის "ბურევესტნიკის" ოსტატი ფეხბურთელები.

სრულ 6 საათზე იწყება თამაში. ტაიმის პირველ წუთებიდანვე უპირატესობა დინამოელთა მხარეზეა. მათი თავდასხმის ხუთეული ხშირად უახოვდება სტუმართა საჯარიმო მოედანს და ქმნის ანგარიშის გამხსნელ მრავალ მომენტს. მე-6 წუთზე ნახევარ დაცვიდან მიღებულ ბურთს მ. ბერძენიშვილი აწვდის პაიჭაძეს, ამ უკანასკნელმა ოსტატური "დრიბლინგებით" მოატყუა "ბურევესტნიკის" ნახევარ დამცველთა ორი მოთამაშე და მოხერხებულად გადასცა მარცხენა ნახევარ შუამარბს. პობედუშკინი გარბის კარიდან, რათა ფეხებიდან ააცალოს ის მოწინააღმდეგეს, მოსტყუვდა სტუმართა მეკარე; ბერეჟნოი გვერდს უვლის მას და ლამაზად აწვდის ღიად დატოვებულ სიმოვს, თითქოს გოლია... მაგრამ კარისგან 6 მეტრით დაშორებით მან ცას სტყორცნა ბურთი და გადარჩა მოსკოველთა კარი.

მე-6 წუთზე ცენტრიდან გადმოცემული ბურთი მიიღო სტუმართა დამცველმა _ მელნიკოვმა, რომელიც ცდილობდა გადაეცა ის მეკარისათვის. სრულიად მოულოდნელად მას მიუსწრო ბერეჟნოიმ და ფეხებიდან ააცალა ბურთი, რის შემდეგ ძლიერი გარტყმით გაგზავნა ის კარის მარჯვენა კუთხისაკენ. კვლავ გადარჩა "ბურევესტნიკის" კარი _ ბურთი მოხვდა ბოძს და დაუბრუნდა სათამაშო მოედანს.

ტაიმის ბოლომდე მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ _ 0:0.

მატჩის მეორე ნახევარში დინამოელებმა გააძლიერეს ტემპი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაიჭაძის და ჯეჯელავას ენერგიული თამაში. პირველ ტაიმთან შედარებით უკეთესად თამაშობდა ფროლოვი.

მეშვიდე წუთზე "დინამოს" თავდასხმის მარცხენა ფრთამ კარგი ტაქტიკური თამაში გამომამჟღავნა: სომოვისაგან ბურთი მიიღო ბერეჟნოიმ. მან გადასცა პაიჭაძეს. ამ უკანასკნელმა კი შეუჩერებლივ და იშვიათი ზუსტი დარტყმით გაარღვია მოწინააღმდეგის კარის მარცხენა კუთხე.

მოსკოველები თავგამოდებით იბრძვიან ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ვერ აღწევენ მიზანს. მეორე ტაიმის მე-45 წუთზე კვლავ პაიჭაძის გარღვევით ბურთი კარის მოედანზეა, მან მოფიქრებულად გადასცა ის შერჩეულ ადგილზე მდგარ ბერეჟნოის და ანგარიში _ გადიდდა.

თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს ორი ახალი ქულა. მატჩი დამთავრდა 2:0 "დინამოს" სასარგებლოდ.

კარგად სჯიდა თამაშს მსაჯი ლევინი (ხარკოვი).

ვ. გ-ლია.
"მუშა", 31 ივლისი, 1938 წ.